საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №01-08/745

ქ. ბათუმი 27 დეკემბერი, 2019 წ.

„ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამის 2019-2020 სასწავლო წლის ფინანსური დავალიანების მქონე ზოგიერთი სტუდენტისათვის ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 16 დეკემბრის №01–08/733 ბრძანებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის 2019 წლის 24 დეკემბრის MES 0 19 01756192 მოხსენებითი ბარათის, სტუდენტების განცხადებების შესახებ ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის 2019 წლის 24 დეკემბრის MES 8 19 01756631 24/12/2019 სამსახურებრივი ბარათის, სტუდენტ გოუთამ კუმარის 2019 წლის 26 დეკემბრის განცხადების (N1768245), „ბსუ-ს უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების თაობაზე' ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 22 ნოემბრის N07-01/47 გადაწყვეტილებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 17 დეკემბრის N07-01/60 გადაწყვეტილებისა და საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამის 2019-2020 სასწავლო წლის ფინანსური დავალიანების მქონე ზოგიერთი სტუდენტისათვის ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 16 დეკემბრის №01–08/733 ბრძანებაში შევიდეს ცვლილებები და დამატება, კერძოდ:

1.1. ბრძანების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამის ზოგიერთი სტუდენტისათვის ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ'' ;

1.2. ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი 1-დან ამოღებული იქნეს და დანართი 3-ის სახით დაემატოს ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 16 დეკემბრის №01–08/733 ბრძანებას, 2019-2020 სასწავლო წლის დასაწყისში (2019 წლის 28 ოქტომბერი) **აკადემიური რეგისტრაციაგაუვლელი სტუდენტები:** მე-3 ნაკადიდან კუნალ საინი (მე-3 გრაფა) და ბჰავინ კეთანკუმარ კალავადია (მე-4 გრაფა), მე-4 ნაკადიდან მაჰიმა ბენჯამინ (მე-2 გრაფა) და სანჯაი სინგჰანი(მე-3 გრაფა), მე-7 ნაკადიდან რამან რაჯ (მე-3 გრაფა), პრეეტამ კუმარ კუჯური (მე-4 გრაფა), ზეეშან ალი ბაიგ მირზა (მე-5 გრაფა) და საფოორა მირზა (მე-6 გრაფა);

1.3. ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი 1-დან ამოღებული იქნეს და **დაემატოს ბრძანების N2 დანართს** 2019 წლის 16 დეკემბრიდან (ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოცემის დღიდან) 10 კალენდარულ დღეში სწავლის წლიური საფასურის ნახევარის გადახდის გამო მე-3 ნაკადის შემდეგი სტუდენტები: **გოუთამ კუმარი (პირველი გრაფა)** და **დეეკშა რანა (მე-5 გრაფა);**

1.4. ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი 1-დან ამოღებული იქნეს 2019 წლის 26 დეკემბრის ჩათვლით სწავლის წლიური საფასურის გადახდის გამო შემდეგი სტუდენტები: მე-3 ნაკადის სტუდენტი გაურავ სერვი (მე-2 გრაფა) და პრიიანკა (მე-6 გრაფა), მე-4 ნაკადის სტუდენტი ანანდჰუ ლალ როილალ (პირველი გრაფა), და მე-7 ნაკადის სტუდენტი აიშვარია მუსკუ (მე-2 გრაფა);

1.5. ბრძანების პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამის ზოგიერთ სტუდენტს **(1 სტუდენტი დანართი №1-ის** შესაბამისად), რომელთაც არ გადაუხდიათ 2019-2020 სასწავლო წლის სწავლის საფასური, **შეუჩერდეთ ბსუ–ს სტუდენტის სტატუსი.**

2. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამის სტუდენტების **(დანართი №2 - 125 სტუდენტი)** ნაწილში, რომელთაც სრულად არ გადაუხდიათ 2019-2020 სასწავლო წლის სწავლის საფასური (პირადი განცხადებებით მოითხოვეს წლიური სწავლის საფასურის გადაუხდელი ნაწილის გადახდის გადავადება), გაგრძელდეს ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 25 ნოემბრის №01-08/710 ბრძანებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ვადა და სტატუსის

შეჩერების აქტი გამოიცეს 2020 წლის 15 იანვრის ჩათვლით პერიოდში მათი წლიური სწავლის საფასურის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში.“

1.6. ბრძანების მე-2 პუნქტის შემდეგი დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 პუნქტი:

„2^1. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამის ზოგიერთ სტუდენტს **(8 სტუდენტი დანართი №3-ის** შესაბამისად), რომელთაც 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში (2019 წლის 28 ოქტომბერი) არ გაუვლიათ აკადემიური რეგისტრაცია **ჩაითვალონ ბსუ–ს სტუდენტის სტატუსშეჩერებულ პირებად 2019 წლის 28 ოქტომბრიდან** (2019-2020 სასწავლო წლის საფასურის დარიცხვის გარეშე).“

3. ბრძანება აისახოს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.
4. წინამდებარე ბრძანება ითარგმნოს ინგლისურ ენაზე, ხოლო ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს მისი (ინგლისურენოვანი თარგმანის) სტუდენტთათვის საჯარო გამოცხადება (ფაკულტეტის დეკანის ოფისთან თვალსაჩინო ადგილზე - საინფორმაციო დაფაზე გამოქვეყნება) და თითოეული სტუდენტისათვის ინდივიდუალურად გაცნობა (ბრძანების თარგმანის ასლზე და დანართზე ხელმოწერის დადასტურებით).
5. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე (პირადი ნომრების გარეშე).
6. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს და სტუდენტებს, ასევე განთავსდეს მათ პირად საქმეებში.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).
8. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**

„ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამის 2019-2020 სასწავლო წლის ფინანსური დავალიანების მქონე ზოგიერთი სტუდენტისათვის ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 16 დეკემბრის №01-08/733 გრძანებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ

ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 27 დეკემბრის №01-08/746 გრძანების

დანართი 3

ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ . ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამის **8 სტუდენტი**, რომელთაც 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში (2019 წლის 28 ოქტომბერი) არ გაუვლიათ აკადემიური რეგისტრაცია - 2019 წლის 28 ოქტომბრიდან **ბსუ-ს სტუდენტის სტატუსშეჩერებული პირები** (2019-2020 სასწავლო წლის საფასურის დარიცხვის გარეშე).“

ა) III ნაკადზე ჩარიცხული სტუდენტებიდან - 2;
ბ) IV ნაკადზე ჩარიცხული სტუდენტებიდან - 2;
გ) VII ნაკადზე ჩარიცხული სტუდენტებიდან - 4

მესამე ნაკადი

№	სტუდენტის გვარი, სახელი	პირადი ნომერი	ნაკადი
1	კუნალ საინი		III
2	ბჰავინ კეთანკუმარ კალავადია		III

მეოთხე ნაკადი

№	სტუდენტის გვარი, სახელი	პირადი ნომერი	ნაკადი

3	მაჰიმა ბენჯამინ		IV
4	სანჯაი სინგჰანია		IV

მეშვიდე ნაკადი

№	**გვარი, სახელი**	პირადი ნომერი	ნაკადი
5	რამან რაჯ		VII
6	პრეეტამ კუმარ კუჯურ		VII
7	ზეეშან ალი ბაიგ მირზა		VII
8	საფოორა მირზა		VII